



საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრი

ბრძანება



MOC 2 16 00008392

13/12/2016

ერთობლივი ელექტრონული ტენდერის საშუალებით საკანცელარიო საქონლის სახელმწიფო
შესყიდვების განხორციელების შესახებ

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის გამართულად ფუნქციონირებისა და სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ივნისის N275 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - პრობაციის ეროვნული სააგენტო) მიერ, საკანცელარიო საქონლის შესყიდვა განხორციელდეს ერთობლივი გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერის მეშვეობით (CPV22800000, CPV30100000).

მუხლი 2

ერთობლივი გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერის ჩატარება განხორციელდეს „მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N2364 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის მეშვეობით.

მუხლი 3

ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრულ გამარტივებულ ელექტრონულ და ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან, სამინისტროსა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები გაფორმდეს ცალ-ცალკე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4

ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული შესყიდვების ობიექტის მოწოდება განხორციელდეს სამინისტროს და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნათა შესაბამისად ცალ-ცალკე, სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სასაწყობო სამმართველოში - მდებარე: ქ. თბილისი, პოლიციის ქ. N10 და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში - მდებარე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N42.

მუხლი 5

ამ ბრძანების მესამე მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, სამინისტროსა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ანგარიშსწორება განხორციელდეს ცალ-ცალკე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6

დაევალოს სამინისტროს ეკონომიური დეპარტამენტის უფროსს (ამირან ჯებისაშვილი) უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურის განხორციელება.

მუხლი 7

ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ცენტრალური აპარატი
მინისტრი
კახიშვილი კახა

